სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №215/01-01 08.12.2014წ.
დანართი 1

გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამები თსუ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

კანდიდატების შერჩევა 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2015-2016 სასწავლო წლისთვის

1. კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების მიერ გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში გერმანულენოვანი უნივერსიტეტების მიერ 2014-2015 და 2015-2016 სასწავლო წლებისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მოპოვება.

2. კანდიდატის შეფასება:

კანდიდატის შეფასება ხორციელდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

მოტივაცია	10 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია	10 ქულა
აკადემიური მოსწრება (საერთო საშუალო ქულა GPA)	4 ქულა

ქულების განაწილება ზეპირი პრეზენტაციისა და მოტივაციისთვის:

10 ქულა	ბრწყინვალე
9 ქულა	ძალიან კარგი
8 ქულა	კარგი
7 ქულა	დამაკმაყოფილებელი
6 ქულა	საკმარისი
5 ქულა და ნაკლები	არადამაკმაყოფილებელი

თუ აპლიკანტმა შეფასების ერთ–ერთ კომპონენტში მიიღო არადამაკმაყოფილებელი ქულა, მისი კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.
გამარჯვებული და სარეზერვო კანდიდატების გამოვლენა მოხდება რანჟირების მეთოდით.